ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

საერთო კრების ოქმი №8

12 ოქტომბერი, 2014 წელი

კრების ჩატარების ადგილი:

თბილისი, ვ.ფშაველას გამზ. 43

შპს. „პროფკავშირების კულტურის ცენტრი“

დღის წესრიგი:

10:00-12:00 **წევრთა რეგისტრაცია.**

12:00-12:15 **კრების გახსნა.**

12:15-12:30 **ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა.**

12:30-13:00 **საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.**

ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი.

13:00-13:20 **საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ანგარიში 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.**

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ციცინო ცხვედიანი.

13:20-13:40 **საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს ანგარიში 2013 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.**

ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი.

13:40-14:00 **საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.**

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლიანა მასიკაშვილი

14:00-15:00 **საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში ცვლილებების შეტანა და დამტკიცება;**

15:00-16:00 **საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის სპეციალური მანტიის შემოღების შესახებ მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება;**

16:00-18-00 **საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სარევიზიო კომისის ერთი წევრის არჩევა;**

18:00 **კრების დახურვა.**

რეგისტრაცია დაიწყო 10:00 საათზე და კრების გახსნის დროს 12:15 წუთზე რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობამ შეადგინა 377 ადვოკატი, ხოლო 13:30 წუთისთვის, რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობა იყო 402.

კრება გაიხსნა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის - ზაზა ხატიაშვილის მისასალმებელი სიტყვით.

კრების რეგლამენტის თანახმად, კრებაზე დამსწრე ადვოკატებიდან დასახელდნენ ხმის დამთვლელი კომისიის კანდიდატები: 1. ნათია თავზარაშვილი 2. ვასილ ლოხიშვილი, 3.ნორა მურღულია, 4.თამარ სადრაძე, 5.ანა ბიჭიკაშვილი, 6.მერაბ ცუხიშვილი, 7.მერაბ ქავთარაძე, 8.ცისმარი ანდრიაშვილი, 9.გიორგი მდინარაძე, 10.ჯემალ ლენოძე, 11.თეონა ფერაძე, 12.ვენერა ბურდული, 13.ჯეიხუნ მამედოვი, 14.ელზა ლუქუნიძე, 15.დავით ახალაური.

მოცემულ საკითხზე დაიწყო ღია კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგებით კრებამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის 15 წევრი. წინააღმდეგი არ ყოფილა, თავი არავის შეუკავებია. ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობიდან, კომიისის მიერ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვენერა ბურდული.

პირველი საკითხი:

მოისმინეს:

კრების თავმჯდომარემ-ზაზა ხატიაშვილმა კრებას წარუდგინა ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2014 წლის იანვარ-სექტემბრის საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ:

აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებულმა არაერთმა გადაწყვეტილებამ ხელი შეუწყო ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციურ გაძლიერებას, კანონის უზენაესობის განმტკიცებას, ადვოკატის უფლებებისა და პროფესიული თავისუფლებების დაცვას. ასევე, საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობის უზრუნველყოფას, იურიდიული განათლების ხელშეწყობას და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას, ადვოკატთა სოციალური დაცვის გარანტიებს. ასევე, თავმჯდომარემ ისაუბრა აუცილებელ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც უნდა შევიდეს „ადვოკატთა შესახებ“ კანონში და რომელიც მიმართული იქნება საადვოკატო საქმიანობის გაძლიერებისკენ, პროფესიაში შემოსვლის სტანდარტების დახვეწისკენ. ამ კუთხით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო

აქტიურად იწყებს მუშაობას საკანონმდებლო დონეზე, რათა კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების შემოსვლას პროფესიაში. ზ.ხატიაშვილმა კრებაზე დამსწრე წევრებს გააცნო ასოციაციის ფინანსური ანგარიში და განაცხადა, რომ მ/წ ივნისში დაიწყო და 3 ივლისს დასრულდა ასოციაციის 2014 წლის ფინანსური აუდიტი, რომლის თანახმად, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას. აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და დაინტერესებული პირებს შეუძლიათ გაეცნონ 2013 წლის ადვოკატთა ასოციაციის ფინანსურ აუდიტს ასოციაციის ვებ-გვერდზე. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ასოციაციის ბიუჯეტის სწორად და მიზნობრივად გამოყენების შედეგად, ასოციაციამ შეიძინა კიდევ ერთი ოფისი ქ. ბათუმში, რომელიც გარემონტდა, აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით და უკვე ფუნქციონირებს. იგეგმება ოფისის შეძენა თელავშიც; ასევე, ადვოკატთათვის უზრუნველყოფილია ტრენინგები განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში; შექმნილია ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადვოკატების ფინანსურ დახმარებას ფონდის დებულების თანახმად დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

საერთო კრებამ მოისმინა და ცნობად მიიღო ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2013 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მეორე საკითხი:

მოისმინეს: ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ-ციცინო ცხვედიანმა კრებას წარუდგინა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ანგარიში 2014 წლის იანვარ-სექტემბრის საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. მან კრებას მიაწოდა ინფორმაცია სტატისტიკური მონაცემების, კომისიის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ:

2014 წლის 16 სექტემბრის მონაცემებით სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიაში რეგისტრირებულია 67 საჩივარი. ანგარიშის შედგენის მომენტისათვის წინა წლებიდან გადმოცემული 97 საქმის გათვალისწინებით 112 საქმეზე წარმოება დასრულებულია. საქმეთა განხილვის მიზნით საპროცესო საქმეებზე ჩატარებულ სხდომათა რიცხვი შეადგენს - 114-ს, ხოლო განხილვის საქმეებზე ჩატარდა 52 სხდომა.

2014 წლის განმავლობაში, ეთიკის კომისიაში საჩივრები წარმოდგენილია შემდეგი სუბიექტების მიერ: კლიენტების მიერ - 45 საჩივარი; სასამართლოების მიერ - 1 საჩივარი, პროკურატურის მიერ - 1, ადვოკატების მიერ – 4 საჩივარი, მოწინააღმდეგე მხარის მიერ - 12, სხვა პირთა მიერ - 4 საჩივარი.

ეთიკის კომისიამ არ დააკმაყოფილა 33 პირის მოთხოვნა ადვოკატთა წინააღმდეგ დისციპლინური დევნის აღძვრაზე და, შესაბამისად, მიიღო დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის გამო, რაც შეადგენს დასრულებულ საქმეთა რაოდენობის 29%-ს.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრები შეეხებოდა ადვოკატის მიერ კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულების, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის, სასამართლოში ქცევის წესებისა და კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის თაობაზე პრეტენზიებს, თუმცა, საჩივართა შესწავლის შედეგად არ დადასტურდა ადვოკატთა მიერ ხსენებული პრინციპების დარღვევა.

29 საჩივართან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე. აქედან 4 საჩივარზე - წარმოება შეწყდა ხანდაზმულობის მიზეზით; 10 საჩივარზე წარმოება შეწყდა იმ მიზეზით, რომ ადვოკატს შეწყვეტილი ჰქონდა ადვოკატთა ასოციაციის წევრის სტატუსი; 4 საჩივარზე - თავად საჩივრის ავტორებმა თქვეს უარი საჩივარზე, დისციპლინური საქმის საპროცესო წესით განხილვის ეტაპზე. 11 საჩივარზე განმცხადებლებს უარი ეთქვათ საჩივრის განხილვაზე, რაც გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით: მხარეთა შორის არ დადასტურდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა; სადავო ქმედების დროს ადვოკატი არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას. იყო შემთხვევა, როდესაც არსებობდა კომისიის გადაწყვეტილება იმავე საკითხზე იმავე მხარეებს შორის. დასრულებულ საქმეთა საერთო რაოდენობის 26%-ზე შეწყდა დისციპლინური წარმოება.

ეთიკის კომისიიამ 17 საქმეზე აღძრა დისციპლინური დევნა და შესაბამისად ეს საქმეები გადაეცა განხილვის კოლეგიებს, რაც საჩივრების დასრულებულ საქმეთა რაოდენობის 15%-ს შეადგენს. დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლებს ძირითადად წარმოადგენს ადვოკატთა მიერ შემდეგი პროფესიული ვალდებულებების დარღვევა: კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულების დარღვევა (9 შემთხვევა), კლიენტისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა საქმის მსვლელობის თაობაზე (7 შემთხვევა), ნდობის პრინციპის დარღვევა (5 შემთხვევა), სასამართლოზე ქცევის წესების დაცვა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებების დაცვა (5 შემთხვევა), კლიენტის მითითებების შეუსრულებლობა (2 შემთხვევა), კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა (2 შემთხვევა), ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა (2 შემთხვევა), საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ მომსახურებისთვის მიღებული თანხის გამოქვითვა (2 შემთხვევა), წინასწარი შეცდნობით სასამართლოსთვის ყალბი მტკიცებულების მიწოდება (1 შემთხვევა), კოფიდენციალობის დაცვა (1 შემთხვევა), კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალებების გამოყენების ვალდებულება (1 შემთხვევა).

საანაგრიშო პერიოდის განმავლობაში განხილვის კოლეგიებმა 19 საქმეზე მიიღეს გადაწყვეტილება ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგენის თაობაზე.

- 8 საქმეზე ადვოკატების მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ზომად განისაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათი;
- 11 საქმეზე დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილება იქნა გამოყენებული.

დისციპლინური საქმის განხილვის კოლეგიის მიერ შესწავლის ეტაპზე, ეთიკის კომისიის მიერ 14 შემთხვევაში ადვოკატი იქნა გამართლებული, ვინაიდან არ დადასტურდა ადვოკატის მიერ და ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტების დარღვევა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში ეთიკის კომისიის ორი გადაწყვეტილება გაასაჩივრეს ადვოკატებმა, რაც საქმეთა საერთო ოდენობის გამამტყუნებელი გადაწყვეტილებების 10%–ია. სადისციპლინო პალატამ საჩივრები დაუშვებლად ცნო.

<u>რეკომენდაციათა სტატისტიკური მონაცემები</u>

2014 წლის 16 სექტემბრის მონაცემებით სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიაში წერილობითი სახით შემოსულია 28 შეკითხვა, ხოლო ცხელი ხაზის მეშვეობით - 36 შეკითხვა. წერილობითი ფორმით გაიცა 25 რეკომენდაცია, ხოლო ცხელი ხაზის მეშვეობით 36 რეკომენდაცია. შეკითხვის მოთხოვნას 9 შემთხვევაში წარმოადგენდა მატერიალური ნორმის განმარტება, 4 შემთხვევაში საპროცესო ნორმის განმარტება და 52 შემთხვევაში ჰიპოთეტურ შემთხვევაზე პრაქტიკული განმარტება.

რეკომენდაციის მიღების მსურველ ადვოკატს 4 შემთხვევაში უარი ეთქვა რეკომენდაციის გაცემაზე. 1 შემთხვევაში შეკითხვა უკავშირდებოდა ეთიკის კომისიის წარმოებაში არსებულ საქმეს, ხოლო 3 შემთხვევაში დასმული საკითხი არ შეეხებოდა ეთიკის კომისიის კომპეტენციას.

დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალი

2014 წლის განმავლობაში, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიის მიერ ან მისი წევრების მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ეთიკის კომისიამ შემოიღო პრეს – სპიკერის ინსტიტუტი;
- ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის რეფორმა საქართველოში" დაფინანსებით ეთიკის კომისიის პრეს – სპიკერებს ჩაუტარდათ ტრენინგები მედიასთან ურთიერთობების უნარ-ჩვევებზე;
- სასამართლოსა და პროკურატურაში ეთიკის კომისიის შესახებ ინფორმაციის განთავსების ორგანიზებისთვის გაკეთდა კვლევა;
- EWMI–JILEP მხარდაჭერით ეთიკის კომისიის აპარატს კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ჩაუტარდა ტრენინგი მონაცემთა ბაზის დამუშავებაში, ანალიზსა და ვიზუალიზაციაში.

2014 წლის ბოლომდე დაგეგმილი აქტივობები:

- ეთიკის კომისიის წევრების მონაწილეობის დაგეგმვა ადვოკატთა შესახებ კანონზე მომუშავე ჯგუფში;
- უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში ადვოკატთა საქმის განხილვის შესახებ კანონპროექტის შემუშავება;
- ეთიკის კომისიის დისციპლინური დებულების ცვლილებებზე სამუშაოების ორგანიზება;
- ეთიკის კომისიის წევრების არჩევის სისტემის გადახედვა (როტაციის პრინციპის განხილვა);

- ეთიკის კომისიის უფლებების კანონმდებლობით გარანტირების უზრუნველყოფისთვის მოქმედებების დაგეგმვა და განხორციელება;
- ეთიკის კომისიის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის განვითარება;
- პერიოდულად სტატისტიკის ანალიზის წარმოების ფორმების შემუშავება;
- სარეკომენდაციო ფუნქციის პოპულარიზაციისათვის სამუშაოების ორგანიზება;
- საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის მიზნით ეთიკის კომისიის წევრების უცხოეთში სასწავლო ვიზიტების ორგანიზება;
- უნივერსიტეტებში ეთიკის საგნის სავალდებულო სწავლების უზრუნველსაყოფად მოქმედებების დაგეგმვა;
- ზემოქმედების ღონისძიებების ალტერნატიული გადაწყვეტების შემუშავება;
- წევრებისა და აპარატის დატრენინგება გადაწყვეტილების დასაბუთებულობაზე და წერის მეთოდებზე;
- ეთიკის კომისიის აპარატში საკადრო ბაზის სრულყოფა;
- ეთიკის კომისიის თანამშრომლობის გაღრმავებისათვის სასწავლო ცენტრთან ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;
- ეთიკის კომისიისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობების გაგმის ფორმირება;
- ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების პოპულარიზაციისთვის ფორმების მოფიქრება და განხორციელება.

2015 წელს დაგეგმილი ღონისძიებები

ეთიკის კომისიის მიერ 2015 წლისათვის დაგეგმილია შემდეგი დამატებითი ღონისძიებების განხორციელება:

- ასოციაციის მნიშვნელოვან შეხვედრებზე უცხოელი სპეციალისტების მოწვევის ორგანიზება;
- პრაქტიკის განზოგადების კუთხით საერთო შეხვედრების ორგანიზება მოსამართლეებთან, პროკურორებთან;
- წლის ბოლოს მედიისთვის და დიპლომატიური კორპუსისთვის ასოციაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშის ჩაბარება;
- „ღია კარის“ დღის ორგანიზება ასოციაციაში – ექსკურსიები მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის;
- ეთიკის კომისიის საქმიანობის განვითარებისათვის საგრანტო პროექტების მოძიებისა და განხორციელების ორგანიზება;
- დისციპლინური წარმოების დახვეწა;
- ეთიკის კომისიის საქმიანობის ოპტიმიზაციის საკითხის გადახედვა;
- ეთიკის კომისიის მატერიალურ – ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისთვის ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებისთვის ღონისძიებების მოფიქრება და განხორციელება;
- სასამართლო მონიტორინგის პროექტების ანგარიშების გაანალიზება;

- ეთიკის კომისიის პრაქტიკის ანალიზის, მათ შორის გამოცემების გაკეთება;
- ეთიკის საკითხებზე ყოველწლიური კონფერენციის მოწყობა;
- კანონშემოქმედებით სტრუქტურებთან ურთიერთობების განვითარებისათვის მოქმედებების დაგეგმვა და ორგანიზება;
- ეთიკის კომისიის გასვლითი შეხვედრების ორგანიზება ადვოკატებთან;

საერთო კრებამ მოისმინა და ცნობად მიიღო ანგარიში ეთიკის კომისიის მიერ მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მესამე საკითხი:

მოისმინეს: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა კრებას წარუდგინა საგანმანათლებლო საბჭოს ანგარიში 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ; ი. ყანდაშვილმა წევრებს გააცნო ინფორმაცია განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების და მიღწეული შედეგების შესახებ; ასევე ისაუბრა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ელექტრონული სისტემის თაობაზე; აღნიშნული პროგრამის მეშვეობით აპლიკანტისთვის გამოცდის შედეგები ცნობილი ხდება გამოცდის დასრულებისთანავე; გარდა ამისა, ელექტრონული სისტემის საშუალებით დაიზოგა როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური რესურსი. ი.ყანდაშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო ცენტრში ბევრი სიახლეა თანამშრომლობის კუთხითაც, კერძოდ, მიმდინარე წლის განმავლობაში სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებთან გაფორმდა მემურანდუმები, რომლებიც მიზნად ისახავს სამართლის და იურიდიული პროფესიის პოპულარიზაციის ხელშეწყობას, საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებაზე მიმართული ერთობლივი პროგრამების დაგეგმვას და განხორციელებას, სტუდენტებისა და მიზნობრივი ჯგუფების ცნობიერების, სამართლებრივი მართლშეგნებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას, გამოცდილების გაზიარებას და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობას **(დანართი #1**- ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ გ.ი.გ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები).

საერთო კრებამ მოისმინა და ცნობად მიიღო ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭოს ანგარიში 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მეოთხე საკითხი:

მოისმინეს: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ - ლიანა მასიკაშვილმა კრებას წარუდგინა სარევიზიო კომისიის ანგარიში 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. მან წარადგინა საკმაოდ ვრცელი ანგარიში და აქცენტი გააკეთა ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებიდან გამომდინარე სამ ძირითადი კომპონენტზე, რაც სარევიზიო კომისიის მუშაობის ძირითადი პრიორიტეტებია: 1. შესწავლილი იქნას

აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის თუ არა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან და ასოციაციის წესდებასთან. 2.ხორციელდება თუ არა აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება. 3. არის თუ არა შესაბამისობაში თავმჯდომარის მოქმედება მოქმედ კანონმდებლობასთან, ასოციაციის წესდებასთან და აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებებთან. ყოველივე ეს ფუნდამენტალურ ასპექტს წარმოადგენდა შედგომ სპეციალისტების მიერ განხორციელებული შემოწმებისათვის, რომელიც აუცილებელი პირობაა საბუღალტრო, საფინანსო და დოკუმენტების რევიზიისათვის. ამ შემთხვევაში შესასწავლი საკითხი საჭიროებდა სპეციალურ ცოდნას. საქართველოს კანონის „ადვოკატის შესახებ“ თანახმად, სარევიზიო კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი ექსპერტი ან სპეციალისტი. შესაბამისად, სარევიზიო კომისიამ აიღო ვალდებულება კონკურსის წესით ყოველწლიურად შეარჩიოს და მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტი საფინანსო საქმიანობის შემოწმების მიზნით. კომისიამ მიიღო დადგენილება კონკურსის გამოცხადების შესახებ და გამარჯვებული აუდიტორული ფირმის გამოსავლენად. ინფორმაცია აუდიტის მოწვევის შესახებ გავრცელდა ასოციაციის ვებ-გვერდზე და შესაბამის ინტერნეტ-რესურსების საშუალებით. სარევიზიო კომისიის წევრთაგან შეიქმნა საორგანიზაციო ჯგუფი ორი ფიზიკური პირის მონაწილეობით (ქ-ნ ლელა ბჟალავა და ელგუჯა ჩხაიძე) და მიენიჭათ უფლებამოსილება საკონკურსო შერჩევის საფუძველზე მოეწვიათ აუდიტორული ფირმა.

საორგანიზაციო ჯგუფის მოქმედების ვადა განისაზღვრა ათი დღით. სარევიზიო პერიოდად განისაზღვრა 2013 წელი სრულად. ასოციაციის წევრებს ეთხოვათ წარმოედგინათ წინამდებარე დადგენილებებთან დაკავშირებული წინადადებები და შემოთავაზებები, ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. თუმცა მსგავსი წინადადებით არავის მოუმართავს.

ასოციაციამ უზრუნველყო ასოციაციის ბუღალტრის და კომისიის შეხვედრა. კომისიის წევრებსა და ბუღალტერს შორის განხორციელდა მსჯელობა 2013 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით; ძირითადი აქცენტი გაკეთდა 2013 წლის ასოციაციის ბიუჯეტის შემოსავლით და ხარჯვით ნაწილზე, მოწოდებულ იქნა ინფორმაცია ასოციაციის ეკონომიკური საქმიანობის შესახებ და ორგანიზაციის მიერ მიღებულ გრანტებთან დაკავშირებულ ბუღალტრულ საკითხებზე.

ადვოკატთა ასოციაცია მომდევნო წლის ბიუჯეტირებას ახდენს მიმდინარე წლის ბოლოს, რომელიც მტკიცდება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ. აღნიშნული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მისი საქმიანობიდან გამომდინარე განიცდის კორექტირებას კალენდარული წლის განმავლობაში. 2013 წლის ბიუჯეტშიც შეტანილი იქნა კორექტირება, რადგან თავიდან არ იყო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული რიგი საკითხები. ასევე მოხდა თანამშრომლების თანამდებობრივი სარგოს ცვლილება და ახალი თანამშრომლებისათვის თანამდებობრივი სარგოს დანიშვნა, რომლებიც მიღებულ იქნენ სასწავლო ცენტრში. ყოველივე ამის გათვალიწინებით, ხარჯი უნდა გაზრდილიყო, მაგრამ პირიქით: ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ჯამი გათვალისწინებული იყო 809 773 ლარი, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2013 წელს გახარჯულია 803 687 ლარი, ანუ მოხდა 6 085 ლარის თანხობრივი სხვაობა, რომელიც მოხმარდება ასოციაციას 2014 წელს.

ასოციაციის სასწავლო ცენტრის ოფისის, საოფისე ფართის შესყიდვა მოხდა 2013 წლის ბიუჯეტიდან 160 000 ლარად, ხოლო მისი რემონტის ღირებულება ამავე ბიუჯეტიდან არის 73 000 ლარი. 2013 წლისათვის კიდევ ერთი გრანდიოზული პროექტი იყო ბათუმის ოფისის შეყიდვა, რომლის ღირებულება წარმოადგენდა 136 000 ლარს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტია ის გარემოება, რომ 2013 წლიდან საფუძველი ჩაეყარა ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდს, რომლისთვისაც გამოყოფილი იქნა 2000 ლარი. ეს თანხა სრულად ათვისებულია და გადარიცხულია ზემოთხსენებულ ფონდში. როგორც დოკუმენტებიდან გაირკვა, სხვადასხვა გადახარჯვა იყო, რომელიც მოიცავს კომუნალურს, კომუნიკაციას, პიარს, საწვავს, საკანცელარიოს, ხოლო დანაზოგი არის გაკეთებული ბათუმის ოფისის შეძენისას, ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიაში, ბიბლიოთეკის წიგნების ფონდზე და ა. შ.

ზოგადად დახარჯულია დაგეგმილზე ნაკლები 6 085 ლარით, რაც პროცენტულად შეადგენს 0.75%; ხოლო თანამდებობრივი სარგოები გაცემული სტაბილურად ბიუჯეტში მითითებული თანხის მიხედვით.

ასოციაციის შემოსავლები სამი სახისაა: საწევრო, ეკონომიკური, რომელიც წარმოადგენს გამოცდების დროს ჩარიცხულ თანხებს და გრანტები. გრანტებზე დაკვირვებას უშუალოდ ახორციელებს გრანტის გამცემი ორგანიზაცია.

სარევიზიო კომისიამ დოკუმენტაციის სრული განხილვისას მიიჩნია, რომ ბიუჯეტში არ არსებობს სერიოზული პრობლემები საფინანსო-სამეურნეო თვალსაზრისით, რომელიც უკვე დამტკიცებულია აღმასრულებელი საჭოს მიერ. მოგვიანებით შეტანილია ცვლილება ამა თუ იმ ნივთის შეძენის თუ სამეურნეო საქმიანობის განხორციელების მიზნით, რომელშიც ნათლად ჩანს აღნიშნული ცვლილებით გამოყოფილი თახის მიზნობრიობა და დანიშნულება.

ამის შემდგომ კომისიამ დაიწყო ასოციაციაში წარმოდგენილი აუდიტორული კომპანიების განცხადებების განხილვა აუდიტორული მომსახურების შესახებ. სულ შემოსული იყო ოთხი განცხადება. აუდიტორული კომპანიების შერჩევის პროცესში გათვალიწინებულ იქნა კომპანიების კვალიფიკაცია, მომსახურეობის შეღავათიანი ფასი, ასევე აუდიტორის მზად ყოფნა აუდიტორულ დასკვნასთან ერთად წარმოედგინათ შესაბამისი რეკომენდაციები ასოციაციის შემდგომი საქმიანობისათვის.

კომისიის წევრების მიერ მსჯელობის შედეგად დადგინდა, რომ განხილულ განცხადებებიდან ასოციაციის სრულ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში იყო შპს ,, ფინანსური მართვის ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი შეთავაზების პაკეტი აუდიტორული მომსახურეობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, წევრებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება: შერჩეულ იქნეს აუდიტორული ფირმა შპს ფინანსური მართვის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფდა სარევიზიო კომისიის 2014 წლის 27 აპრილის დადგენილების საფუძველზე ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2013 წლის საანგარიშო პერიოდის აუდიტორული შემოწმებას. აღნიშნული მომსახურეობის საფასურად განისაზღვრა 2950 ლარი. შპს “ფინანსური მართვის ჯგუფის“ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2013 წლის საანგარიშო პერიოდის

აუდიტორული შემოწმების თარიღად განისაზღვრა ა/წ 3 ივნისი, ხოლო დასრულების თარიღად ა/წ 3 ივლისი.

კომპანიის მიერ ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებაზე დაყრდნობით მათ უნდა გამოეთქვათ მოსაზრება ასოციაციის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებზე; აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტი მოითხოვს, რომ მათი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, რომ ყოფილიყო უტყუარი რწმენა იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტორული კომპანიის ფინანსური მართვის ჯგუფის მიერ წარმოდგენილ აუდიტორული დასკვნის განხილვის პროცესში გამოიკვეთა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნები და საკითხები ასოციაციაში მიმდინარე საფინანსო/სამეურნეო საქმიანობების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, კანონმდებლობის და ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად.

წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით ადვოკატთა ასოციაციის მიერ 2013 წელს ყველა ძირითად ასპექტში გაწეული დანახარჯები აღრიცხულია არსებითი უზუსტობის გარეშე. წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ასევე, დასკვნის მიხედვით ყველა დოკუმენტის სრული მოცულობით შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ ასოციაციაში შემოსული და გახარჯული თანხის მიზნობრიობა გეგმით გათვალისწინებული და პროტოკოლით გაფორმებული იყო და შეესაბამება „ადვოკატის შესახებ“ კანონს და წესდებას.

2014 წლის 8 ივლისს სარევიზიო კომისიის წევრების მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი აუდიტორული ფირმა შპს ფინანსური მართვის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ადვოკატთა ასოციაციის 2013 წლის ფინანსური ანგარიში და სარევიზიო კომისიის სხდომაზე მისი განხილვის შემდეგ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ადვოკატთა ასოციაციის 2013 წლის ფინანსური ანგარიშის აღმასრულებელი საბჭოსთვის გადაცემის შესახებ.

საერთო კრებამ მოისმინა და ცნობად მიიღო ანგარიში სარევიზიო კომისიის მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მეხუთე საკითხი: ცვლილებები ადვოკატთა ასოციაციის წესებაში .

მოისმინეს: თავმჯდომარემ წარადგინა საკითხი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის სპეციალური მანტიის შემოღების შესახებ. მან განაცხადა, რომ მანტიის შემოღება

არის მისი ინიციატივა და მიზანშეწონილად მიაჩნია ადვოკატთათვის სპეციალური მანტიის შემოღება, რაც განასხვავებს ადვოკატს მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე სხვა სუბიექტებისგან და პატივისცემის გრძნობას აღძრავს ირგვლივმყოფებში. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, 39-ე მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის მანტიის შემოღების წესს. ზ. ხატიაშვილმა აღნიშნა, რომ დღევანდელ რეალობაში ნამდვილად დგას პრობლემა პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში (სასამართლოში) ადვოკატის მხრიდან არასათანადო შემოსვის თვალსაზრისით და ამ კუთხით პროფესიული ვიზუალის დახვეწას რეკომენდირებულად თვლის. მან წევრებს შესთავაზა, რომ მანტიის ალტერნატივად განიხილებოდა ე.წ უნიფორმა ასოციაციის ლოგოს გამოსახულებით თუ ადვოკატები იქნებიან მანტიის წინააღმდეგ მაშინ უნდა ვიფიქროთ უნიფორმის შემოღებაზე. წევრების მხრიდან დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გამოცხადდებოდა კონკურსი მანტიის დიზაინზე და შემდგომ საერთო კრებაზე მოხდებოდა აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით მანტიის ნიმუშებიდან ერთ-ერთის დამტკიცება .

მეექვსე საკითხი:

მოისმინეს: თავმჯდომარემ კრებას წარუდგინა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომელიც გულისხმობდა ასოციაციის წესდების 32 -ე მუხლის მოქმედი რედაქციის გამუქმებას და ასოციაციის წესდების 32 -ე მუხლის ჩამოყალიბებას შემდეგი ფორმულირებით:

მუხლი 32. ადვოკატის პროფესიული წახალისების ფორმები

ადვოკატის პროფესიული წახალისების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს „ილია ჭავჭავაძის“ პირველი და მეორე ხარისხის ორდენი.

ადვოკატის პროფესიული წახალისების ფორმას წარმოადგენს ლუარსაბ ანდეონიკაშვილის ორდენი.

ადვოკატის პროფესიული წახალისების ფორმას წარმოადგენს „ადვოკატის ღირსების ორდენი“

ადვოკატის პროფესიული ორდენების მინიჭება ხდება ადვოკატთა საერთო კრებაზე, დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით

ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული (წახალისების) ფორმის მინიჭების წესს განსაზღვრავს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო

მეხუთე და მეექვსე საკითხზე ღია კენჭისყრის დაწყებამდე, თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას სურვილის შემთხვევაში ტრიბუნასთან სიტყვით გამოსვლის თაობაზე, საერთო კრების რეგლამენტით დადგენილი 3 წუთიანი ინტერვალის დაცვით.

სიტყვით გამოვიდნენ:

1. **ვასილ ოსეფაშვილი,** რომელმაც განაცხადა, რომ ასოციაციაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები არის, ვიდრე კრებაზე განსახილველად წარმოდგენილი საკითხებია. კერძოდ, მან განმარტა, რომ ასოციაციაში სერიოზული პრობლემებია ფინანსური საქმიანობის თვალსაზრისით, რაც ასახულია ასოციაციის 2009-2012 წლების ასოციაციის აუდიტორულ დასკვნაში. ამავდროულად, მან განაცხადა, რომ ასოციაციის ადმინისტრაცია არ ასაჯაროებს აუდიტის დასკვნას. ასევე, მას ჰქონდა შენიშვნები თავმჯდომარის მიერ ფინანსურ დოკუმენტებზე დელეგირების უფლების გაცემასთან დაკავშირებით ასოციაციის ბუღალტერზე; სარევიზიო კომისიის არაფექტურ საქმიანობაზე; ამ თავლსაზრისით მან აღნიშნა, რომ სარევიზიო კომისიამ უფრო ეფექტურად უნდა იმუშაოს და ხშირად შეიკრიბოს. მან მიმართა კრებას დაინტერსებულიყვნენ ამ კუთხით და მეტი აქტიურობა გამოეჩინათ.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ ასოციაციას დასამალი არაფერი არ აქვს, ხსენებული აუდიტის დასკვნაც ხელმისაწვდომია ასოციაციის ვებ-გვერდზე. მასში სრულად არის ასახული ასოციაციის ფინანსური საქმიანობა, არ არის გამოვლენილი არსებითი უზუსტობები და ასოციაციაში საფინანსო/სამეურნეო საქმიანობები სრულყოფილად არის განხორციელებული კანონმდებლობის და ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად. მან აღნიშნა, რომ საინტერესოა როგორ გაეცნო ბ-ნი ვ. ოსეფაშვილი აღნიშნულ აუდიტის დასკვნას და შესაბამისად, როგორ აღმოაჩინა მნიშვნელოვანი პრობლემები ასოციაციის ფინანსური საქმიანობის თვალსაზრით, რადგან ის აცხადებს, რომ დასკვნა არ არის ხელმისაწვდომი და საჯარო, შესაბამისად მისი განცხადებები ურთიერთგამომრიცხავია. რაც შეეხება სარევიზიო კომისიის მუშაობას, მან განმარტა, რომ სარევიზიო კომისიამ კეთლსინდისიერად შეასრულა „ადვოკატთა შესახებ“ კანონით და ასოციაციის წესდებით დადგენილი ფუნქცია; ვ. ოსეფაშვილის შენიშვნა მიუღებელია სხდომების გამართვის თვალსაზრისითაც, რადგან კანონით დადგენილი 3 თვეში ერთხელ შეკრების ნაცვლად, სარევიზიო კომისიამ ექვსჯერ ჩაატარა სხდომა და აღნიშნული სხდომების ოქმები ასევე ხელმისაწვდომია ასოციაციის ვებ-გვერდზე. ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ვ.ოსეფაშვილის შენიშვნები მოკლებულია სერიოზული განხილვის საფუძველს.

კრებაზე დამსწრე წევრებმა მოისმინეს თავმჯდომარის პასუხი ვ. ოსეფაშვილის მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე და მათ განაცხადეს, ისინი ერთსულოვნად ეთანხმებიან თავმჯდომარეს, შესაბამისად, ვერ ხედავენ ვ.ოსეფაშვილის შენიშვნების მოსმენის საფუძველს და შეახსენეს თავმჯდომარეს, რომ რეგლამენტით გათვალისწინებული 3 წუთი ვ. ოსეფაშვილს უკვე ამოეწურა და მიმართეს კრების თავმჯდომარეს, რომ სხვა წევრებსაც სურდათ საკუთარი აზრის გამოთქმა, რათა ამის შემდეგ, დროულად გაეგრძელებინათ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მსჯელობა.

2. **გიორგი მარიამიძე,** რომელმაც განაცხადა, რომ იგი მიესალმება ადვოკატებისთვის მანტიის შემოღების საკითხს და ასევე შეეხო ზოგადად მიმდინარე საკანონმდებლო

ცვლილებებს მოწმის დაკითხვის გადავადებასთან დაკავშირებით; ისაუბრა ასოციაციაში მიმდინარე ტრენინგების შესახებ და დაამატა, რომ სასურველია ტრენინგების ხარისხი ამაღლდეს; ასევე მან განაცხადა, რომ მას მნიშვნელოვნად მიაჩნია იურიდიული სახის სამეცნიერო საქმიანობის წახალისება; იგი მიესალმება წარმოდგენილ ცვლილებას ადვოკატის პროფესიული საქმიანობის წახალისების ფორმებთან დაკავშირებით და საუბრის ბოლოს დასძინა, რომ მისი აზრია, კრებაზე ადვოკატის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაწესებულ იქნას სანქციები.

3. **გელა ნიკოლაიშვილი,** რომელმაც განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს როგორც წარმოდგენილ ცვლილებას ადვოკატის პროფესიული საქმიანობის წახალისების ფორმებთან დაკავშირებით, ასევე ადვოკატებისთვის მანტიის შემოღების საკითხს; თუმცა აღნიშნა, რომ შესაძლოა მანტიის ტარებას გარკვეული უხერხულობა შექმნას ადვოკატებისთვის ტრანსპორტით თუ ფეხით გადაადგილების პროცესში, მაგრამ თუ მანტია იქნება მოხერხებული იმ თვალსაზრისით, რომ არ დაიკავებს დიდ ადგილს და არ დასჭირდება გამოყენების წინ ფორმაში მოსაყვანი პროცედურები, იგი მხოლოდ მიესალმება ამ საკითხს.

4. **ბესარიონ ბოჭორიშვილი,** რომელმაც განაცხადა, რომ იგი მიესალმება მანტიის შემოღების საკითხს, თუმცა მისი აზრით, მანტიის ნაცვლად, სასურველია შემოღებულ იქნას ე.წ „დრეს-კოდი“, რომელიც გულისხმობს ადვოკატის შემოსვას ეროვნული სამოსით.

5. **ნონა ესართია,** რომელმაც განაცხადა, რომ იგი სრულად ეთანხმება მანტიის შემოღების საკითხს და იქვე დასძინა, რომ იგი დადებითად აფასებს ასოციაციის სასწავლო ცენტრის მუშაობას და დიდ მადლობას უხდის ჩატარებული ტრენინგების თუ სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებისთვის, ტრენინგების საუკეთესო ორგანიზებულობის და მათი მაღალი ხარისხის გამო.

6. **ელზა ჯმუხაძე.** მან განაცხადა, რომ აუცილებლად უნდა იქნას შემოღებული მანტია, მაგრამ არაეროვნული სამოსი. ასევე, მისი მხრიდან დადებითად იქნა შეფასებული სასწავლო ცენტრის მუშაობა

7. **ლაშა ჯანიბეგაშვილი.** მან ისაუბრა პროფესიულ საქმიანობაში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე და განაცხადა, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია ასოციაციას ჰყავდეს წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში.

8. **ვახტანგ ფირალიშვილი,** რომელმაც ისაუბრა საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობაზე, პროფესიაში შემოსვლის საკითხზე.

9. **ზაირა ფრუიძე.** მან დადებითად შეაფასა წესდებაში შესატანი ცვლილებები მანტიის შემოღების და ადვოკატის პროფესიული საქმიანობის წახალისების ფორმების თაობაზე. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია, ცვლილებას დაემატოს გამოჩენილი მოღვაწის გურამ უგრეხელიძის სახელობის ჯილდო. თავმჯდომარის მიერ ქ-ნ ზ.ფრუიძეს განემარტა, რომ აღნიშნული წინადადებით მას

ასოციაციისთვის უნდა მიემართა აღნიშნული ცვლილების პროექტის გამოქვეყნებამდე, ვინაიდან, კრებაზე არ ხდება მასში ცვლილების დამატება.

10. **რევაზ კაჭკაჭაშვილი,** რომელმაც დადებითად შეაფასა წესდებაში შესატანი ცვლილებები მანტიის შემოღების და ადვოკატის პროფესიული საქმიანობის წახალისების ფორმების თაობაზე. მანტიის შემოღების საკითხთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ მისთვის მისაღებია როგორც მანტია ასევე უნიფორმა ასოციაციის ლოგოს გამოსახულებით.

წესდებაში შესატანი ცვლილებების შესახებ მსჯელობა მანტიის შემოღების და ადვოკატის პროფესიული საქმიანობის წახალისების ფორმების თაობაზე ამოიწურა.

თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი გადაწყვეტილების მიღების შესახებ, <u>შემოღებულ იქნას თუ არა „ილია ჭავჭავაძის“ პირველი და მეორე ხარისხის ორდენი, ადვოკატის ღირსების ორდენი და ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენი.</u> აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის დროს დარბაზში იმყოფებოდა 240 ადვოკატი. კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

<u>გადაწყვეტილება</u>: ადვოკატთა ასოციაციის წესდების 32-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შეემდეგი რედაქციით :

მუხლი 32. ადვოკატის პროფესიული წახალისების ფორმები

ადვოკატის პროფესიული წახალისების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს „ილია ჭავჭავაძის“ პირველი და მეორე ხარისხის ორდენი.

ადვოკატის პროფესიული წახალისების ფორმას წარმოადგენს ლუარსაბ ანდეონიკაშვილის ორდენი.

ადვოკატის პროფესიული წახალისების ფორმას წარმოადგენს „ადვოკატის ღირსების ორდენი“

ადვოკატის პროფესიული ორდენების მინიჭება ხდება ადვოკატთა საერთო კრებაზე, დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით

ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული (წახალისების) ფორმის მინიჭების წესს განსაზღვრავს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო

თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი გადაწყვეტილების მიღების შესახებ, ადვოკატთა მანტიის შემოღების თაობაზე და მანტიის დიზაინზე კონკურსის გამოცხადების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის დროს დარბაზში იმყოფებოდა 240 ადვოკატი. ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 217, წინააღმდეგი 23), ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა

<u>გადაწყვეტილება</u>: შემოღებულ იქნას ადვოკატთა მანტია 2016 წლის 1 იანვრიდან , მანტიის დიზაინზე აღმასრულებელი საბჭოს მიერ გამოცხადეს კონკურსი, დაევალოს აღმასრულებელ საბჭოს მომდევნო საერთო კრებაზე წარმოადგინოს მანტიის ნიმუში დასამტკიცებლად.

მეშვიდე საკითხი

მოისმინეს: თავმჯდომარემ წარადგინა საკითხი საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 31-ე მუხლის, მე-2 ნაწილის თანახმად სარევიზიო კომისიის ერთი წევრის არჩევის შესახებ. მან განაცხადა, რომ არჩევნები გამოიწვია ეთიკის კომისიის წევრის - რამაზ მორჩილაძის ტრაგიკული შემთხვევის შედეგად გარდაცვალებამ და სთხოვა წევრებს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ კოლეგის ხსოვნისადმი.

საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 31-ე მუხლის, მე-2 ნაწილის თანახმად სარევიზიო კომისიის ერთი წევრის არჩევის შესახებ საკითხზე დაიწყო დახურული კენჭისყრა:

16:00 საათზე დაიწყო ხმის მიცემის პროცედურა არჩევნებში სარევიზიო კომისიის წევრის არჩევის მიზნით. ხმის მიცემის პროცედურა მიმდინარეობდა 1 საათის განმავლობაში 17:00 საათამდე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 158 ადვოკატმა.

ხმის მიცემის პროცედურის დასრულების შემდეგ, ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის-ვენერა ბურდულის მიერ გამოცხადებულ იქნა სარევიზიო კომისიის არჩევნების შედეგად მიღებული შედეგები:

ნამდვილი ბიუელეტენების რაოდენობა -156

ბათილი ბიულეტენების რაოდენობა -2

კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

1. ხათუნა მარკოიშვილი -34 ხმა

2. ვასილ ოსეფაშვილი - 13 ხმა

3. თემურ სვიმონიშვილი - 86 ხმა

4.აკაკი ჩარგეიშვილი - 21 ხმა

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ სარევიზიო კომისიის წევრად არჩეულ იქნა თემურ სვიმონიშვილი

კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მსჯელობა ამოიწურა.

კრებაზე საკითხები განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული რეგლამენტით.

18:00 საათზე კრების თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა.

დანართი #1- ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭოს ანგარიში 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

ზაზა ხატიაშვილი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის“ თავმჯდომარე